აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

5 დეკემბერი, 2018

დადგენილება № 15(18/19)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის საელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე

ს ს ი პ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 132/ნ ბრძანების 29-ე მუხლის შესაბამისად და **სსიპ** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს არჩევნები **ს ს ი პ** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 22 თებერვალს.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს **14-21** დღის განმავლობაში. რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 8 იანვრიდან და დასრულდეს 2019 წლის 21 იანვარს 15.00 საათზე.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს **ს ს ი პ** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, პირველი კორპუსი, ოთახი №1138, 10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.
6. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე არჩევის მსურველებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

ბ) ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

გ) სამოქმედო გეგმა

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

7. დადგენილება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

8. დადგენილების განთავსება თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

9. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე